დაბადების რიგითობა, მშობლის აღზრდის განზომილებები და პიროვნულ ნიშან-თვისებათა მოდელი (დიდი ხუთეული)

ქრისტინე ბერეკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარგდენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე ბერეკაშვილი

18.06.2021

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ნატა მეფარიშვილს, მხარდაჭერისთვის, თანამშრომლობისთვის, რჩევებისა და აქტიური უკუკავშირისთვის. აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ლექტორს, ირინა ვარდანაშვილს, გულშემატკივრობისთვის, რაც მუშაობის პროცესში ძალიან დიდი სტიმულის მომცემი იყო.

აბსტრაქტი

დაბადების რიგითობისა და აღზრდის განზომილებების კვლევა პიროვნულ ნიშან-თვისებებთან მიმართებაში, ავტორებმა მრავალი წლის წინ დაიწყეს, თუმცა დისკუსია დღემდე მიმდინარეობს და საკითხის შესახებ კონსესუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. აღნიშნული პრობლემა კომპლექსურია, მისი შესწავლა კი-დღემდე აქტუალური. მკვლევართა უმეტესობა ამტკიცებს, რომ არსებობს ურთიერთკავშირი როგორც დაბადების რიგსა და პიროვნულ მახასიათებლებს შორის, ისე ამ უკანასკნელსა და მშობლის აღზრდის განზომილებათა შორის.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო დაბადების რიგითობისა და აღზრდის განზომილებათა კავშირის შესწავლა დიდ ხუთეულში შემავალ პიროვნულ ნიშან-თვისებებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60-მა 16-18 წლის მოზარდმა, ორშვილიანი და სამშვილიანი ოჯახებიდან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს კავშირი ექსტრავერსიასა და დაბადების რიგითობას შორის, კერძოდ, ყველაზე უმცროს ბავშვებს პირველებთან შედარებით, აღნიშნული ნიშან-თვისების მაღალი ხარისხი უფიქსირდებოდათ. კავშირი დადგინდა აგრეთვე, მშობლის აღზრდის განზომილებებსა და ინდივიდის ისეთ პიროვნულ ნიშან-თვისებებს შორის, როგორებიცაა კეთილგანწყობა, კეთილსინდისიერება და ნევროტულობა.

საკვანძო ტერმინები: დაბადების რიგითობა, აღზრდის განზომილებები, პიროვნულ ნიშან-თვისებათა მოდელი (დიდი ხუთეული).

Abstract

Researchers started to investigate the relationship of birth order and parenting dimensions with personality treats many years ego. The discussion is still ongoing and the consensus on the issue has not been reached yet. The problem is complex and its study is relevant to this day. Most researchers argue that there is a relationship between birth order and personality, as well as between parenting dimensions and birth order.

The purpose of the present study was to investigate link between birth order and personality, as well as parenting dimension and personality traits. 60 people aged 16-18 have participated in the study, from families with two or three children.

The research indicated that there is a link between birth order and extraversion, in particular, the youngest children had a higher degree of this trait compared to the oldest children. In addition, the study found that there is a link between parenting dimensions and specific personality traits - agreeableness, conscientiousness and neuroticism.

Keywords: Birth Order, Parenting Dimensions, Personality Treats (Big 5)